№ 2944
სამშაბათი
8 ნოემბერი

# ცნობის ფურცელი

№ 2944
სამშაბათი
8 ნოემბერი

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დ: მატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა'6. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავ'. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდ-ძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მიიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ოდესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—21)

**ეკატერინე ნიკოლოვისა, ნინო და ვლადიმერ ბახუტოვები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (4 ნოემბერს) პირველი ძმისა და მეორენი—ბიძისა და სიმამრის

სოსიკო გოგინოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზე სამშაბათს, 8 ნოემბერს, ავლაბარში, სურფმინასის ქუჩაზე, სახლი ქათანიანცისა, დილის 9 საათზე. გასვენება სიონის ტაძარში, იქიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.. პანაშვიდები კვირას და ორშაბათს საღამოს 5 საათზე. (2—2)

**ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** № 5.

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილისა** და **ს. მ. რომანიშვილის** მონაწილეობით. პირველად ახალი პიესები: I ძალა ცოდნაშია პიესა 3 მოქ. ფილიპისა. II ქურდი კომედია 1 მოქ. მირბოსი.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.

**წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. შეგირდებთათვის ადგილები 40.

მზადდება წარმოსადგენად „სულით ობოლნი" და „ქოხში". რეჟისორი **ვ. გუნია.**

სამშაბათს, 8 ნოემბერს, ნაძალადევში დანიშნულია კრება

**შინა მოსამსახურეებისა,**

როგორც მზარეულებისა, აგრეთვე ხელზე მოსამსახურეებისა. კრება იქმნება ნაშუადღევის სამ საათიდან. (3—3)

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

**მ. გ. ალაჯანოვი.** 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობა.

**ი. ნ. ეგიაზაროვი.** 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

**პ. ნ. დემიდოვი.** 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

**გ. ა. ტატევოსოვი.** 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ი. ე. ავეტისოვი.** 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

**მ. პ. კიმონტი.** 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

**მ. რ. ელჩიევი.** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

**პ. ა. ბეიერი.** 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—22)

**ექიმი**
**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი**
**ა. ნ. დიასამიძე**

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

**კბილის ექიმი**
**ი. ზ. კანდელაკი**

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე. (თვ.—80—24)

**მედიცინის დოქტორმა**
**ბ. ი. ბურბენოვმა,**

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—18)

**ელექტრო-თერაპიული კაბინეტი**
**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყოროღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

**მედიცინის დოქტორი**
**მ. ი. მურადოვი**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—22)

**ექიმი**
**გ. ი. ტერ-გრიგორიანცი**

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—23)

**კბილის ექიმი**
**ივანე პ. ახალშენიშვილი**

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

**ექიმი**
**პ. ა. არდაზიანი**

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—7)

**ექიმი**
**მ. პ. ბეზირგანოვი**

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—7)

## ტფილისი, 5 ნოემბერ.

### გულ-უბრყვილო გრაფი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გრაფმა ვიტტემ გაფიცულ ქარხნების, ფაბრიკების მუშებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ძმებო-მუშებო, ხელი მიჰყავით საქმეს, თავი დაანებეთ შფოთს, გებრალებოდეთ ცოლ-შვილი, ყური მოარიდეთ მავნე რჩევას. ხელმწიფემ გვიბრძანა, რომ მუშათ საკითხს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ამისთვის მისმა უდიდებულესობამ დააარსა სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრო, რომელმაც უნდა დააწესოს კანონიერი დამოკიდებულება მუშათა და საქმის მოთავეთა შორის. გვადროვეთ და ყოველივე შესაძლებელი თქვენ სასარგებლოდ მოწყობილი იქნება. გაუგონეთ თქვენს კეთილის მყოფს და თქვენ მომხრე კაცებს".

მკვდარსაც გააცინებს გრაფის „პროკლამაცია". მთელი რუსეთი, მთელი ევროპა გრაფ ვიტტეს ჭკვიან კაცად სთვლის, მარტო ის მიაჩნიათ ერთად ერთ კაცად, რომელსაც შეუძლიან რუსეთი გადაარჩინოს და მშვიდობის გზაზედ დააყენოს, და თურმე ნუ იტყვით, გრაფი გულუბრიყვილო ბავშვი ყოფილა. ბავშვს, მხოლოდ გულუბრიყვილო ბავშვს, შეეძლო მიემართნა მუშებისათვის იმ სიტყვებით, რომელიც ზევით ამოვწერეთ. გრაფსა ჰგონია, გულუბრიყვილოდ უფიქრნია, რომ ორიოდე უაზრო სიტყვით შეიძლება გაფიცვის შეჩერება, დარწმუნება მუშებისა, რომ იმათ ბედისთვის ზრუნავენ, მალე იმათ მდგომარეობას ისე მოაწყობენ, რომ მუშების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. O sancta simplicitas! რა ადვილი ყოფილა ძნელი საქმის გაკეთება! მაგრამ მუშები რომ ყურს არ უგდებენ ამ კეთილ რჩევას და გაფიცვას თავს არ ანებებენ, არ იბრალებენ თავის ცოლ-შვილს, შიმშილ-წყურვილს რჩეობენ და უფრო უარესისათვისაც მზად არიან. რატომ არ დაეკითხება გრაფი ვიტტე თავის თავს: „რისაგან არის, რომ მუშები ყურს უგდებენ „მავნე რჩევას" და აღარ უცდიან მთავრობის მზრუნველობის ნაყოფს?"

ამ კითხვაზედ რომ ეფიქრნა და პასუხი ეპოვა, მაშინ ზემო აღნიშნულ „პროკლამაციას" აღარ გამოსცემდა. მაგრამ ბიუროკრატს საიდან მოუვა ასეთი კითხვა?

მუშები ლოდინის გათავებას ვეღარ ეღირსნენ. მუშები „ელოდნენ", როცა მიდიოდნენ მეფესთან თავის გაჭირვების მოსახსენებლად. ხომ გახსოვთ, რა შედეგი მოჰყვა იმ „ლოდინს"? მას შემდეგ აგერ მალე წელიწადი შესრულდება, მაგრამ მუშების მდგომარეობაში არა თუ საკეთილო ცვლილება არ მომხდარა, პირ იქით, მდგომარეობა უფრო გამძიმდა. მუშებმა შეიგნეს, რომ ლოდინი, ზღვის პირად ჯდომა და დ:რის ცდა, ხელსაყრელი არ არის. მუშებმა შეიგნეს, რომ მთავრობის მზრუნველობა არის მზრუნველობა მგლისა ბატკანზე და ხელს არ მისცემს. მუშებმა შეიგნეს, რომ ერთად-ერთი ნამდვილი, გულწრფელი მზრუნველი იმათ ბედისთვის არიან თვით ისინი და სხვა არავინ. მუშებმა შეიგნეს, რომ მარტო „ბრძოლაში ჰპოვებ უფლებასა შენსა". მუშებმა გაიგეს ფლიდობა, გაიძვერობა მთავრობისა და ყოველივე ნდობა დაჰკარგეს მისდამი. როცა ყველა ეს შეიგნეს და გაიგეს, როგორ გნებავთ, რომ მუშებმა კიდევ იცადონ და ელოდონ წყალობას ზევიდან, როგორ გნებავთ დაიჯერონ, რომ ახლად შობილი სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრო მოაწყობს იმათს მდგომარეობას იმათ სასარგებლოდ?.

არა, მუშები არ მოიცდიან, არ დაიჯერებენ და მაგრად ეჭირებათ ხელში თავიანთი ძლიერი იარაღი—გაფიცვა, რომელიც მოაპოვებინებს ყველაფერს. ვერავინ მოატყუებს მუშებს იმ დაპირებით, რომ ნაბძანები გაქვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მუშათა მდგომარეობას. ვერავინ გააბამს ძუშებს მახეში ბიუროკრატიულის ხრიკით, რომელიც დაფარულია „პროკლამაციაში".

მთავრობას ნებავს მუშა ხალხი ჩამოაშოროს განმათავისუფლებელ ლაშქარს და იმიტომ ჰპირდება მდიდარ წყალობას. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მუშა ხალხი დაჰხარბდეს ასეთ „წყალობას" და უღალატოს რუსეთის განთავისუფლებას. ნუ გგონიათ, რომ მუშა ხალხი მარტო კუჭზედა ჰფიქრობს და მარტო იმისთვის იბრძვის. არა, გრაფმა ამისთანა იდეალები ახლო მახლო, ბიუროკრატიულ წრეებში უნდა მოიკითხოს, იქ უფრო ნახავს კუჭის მოტრფიალეთ. რუსეთის მუშა ხალხი კი დამშეულის კუჭით წინ წავა საბრძოლველად, დაივიწყებს ცოლსაც და შვილსაც, დაივიწყებს თავის თავს და ბრჭყალებიდან გამოგლეჯავს დაპატიმრებულს, ბორკილ დადებულ თავისუფლებას.

გაუმარჯოს თავგანწირულად მებრძოლ მუშას!

ჶ

◆

## განმათავისუფლებელი საერთო ფონდი

—

სრული იმედი მაქვს, ყოველი მკითხველი სიამოვნებით დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ იმ ფულს, რომელიც ეხლა გროვდება გურულების სახელობაზე, არ შეშვენის შეწირულების სახელი. ეს წმინდა ვალის გადახდაა და არა შეწირულება, დახმარება.

დიახ, ჩვენ ყველანი ყელამდინ ვალში ვართ გურულების წინაშე.

მათ პირველებმა გამოიღვიძეს, აირჩიეს განმათავისუფლებელი გზა, შეიმუშავეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამმა და ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალითო მხნეობით, იშვიათის გამბედაობით, საარაკო ვაჟკაცობით.

ამავე დროს თავის რადიკალურ მისწრაფებათა განსახორციელებლად მათ ამოირჩიეს მეტად სიმპატიური, სრულად კულტურული ღონისძიება: მტკიცე ერთობა თავის შორის და გაფიცვა, ბოიკოტი მოწინააღმდეგეთა შესახებ. კლასთა ბრძოლაში მათ არც ერთი ბარბაროსული ღონისძიება არ უხმარნიათ, არც ერთი მემამულე არ მოუკლავთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მემამულე იყო, არც ერთი შენობა არ გადაუწვიათ. მართალია, იგინი სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ ვის? სულმდაბალს ჯაშუშებს, რომელნიც მათ აბეზღებდნენ, ცილსა სწამებდნენ და ათობით და ოცობით აგზავნინებდნენ მათ საპყრობილეებში.

თუ ეხლა ყველას გაგვითენდა დილა თავისუფლებისა და მოველით თავისუფლების შუადღესაც, თუ ქართველის ერის მეტ-ნაკლებობით გატეხილი სახელი აღდგა და პატივით იხსენება კავკასიასა, რუსეთსა და მთელს განათლებულს კაცობრიობაში, ეს უმთავრესად გურულების მეოხებით, რომელთაც არ დაიშურეს საყოველთაო თავისუფლების მოპოვებისათვის არც თავისი რაინდული სისხლი, არც თავისი ღვაწლიანი სიცოცხლე.

ამაზედ უდიდესი ვალი წარმოუდგენელია. და ამ ვალში ნაწილი უდევს ყოველ ქართველსა, რადგანაც ბრძოლის ნაყოფი ყველას საკუთრებათ ჰხდება.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართლის გლეხობასაც კიდევ უფრო შავი დღე ადგია, ვიდრე გურულებსა. ეს გლეხობაც მტკიცედ და ერთგულად შეუდგა განმათავისუფლებელს მოძრაობას; მაგრამ სასტიკად დაისაჯა. მრავალს სოფელში ჩაუყენეს ყაზახების ეკზეკუცია, რომელმაც სოფელს გაუჩანაგა შინაური ფრინველები, საქონელი, პური, ღვინო, ხილი და ვალიც ბევრი დაღებინა... ახლო მომავალში ქართლს შიმშილი მოელის აუცილებლივ.

სამწუხაროდ, ქართლელი გლეხობა ბრძოლის დროს ბარბაროსულს ღონისძიებას არ მოერიდა. მან მოჰკლა არა ერთი მემამულე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყო მემამულე, არა ერთი შენობა გადასწვა, არა ერთს პურის ბჯას წაუკიდა ცეცხლი, არა ერთი სკოლის შენობა მიწასთან გაასწორა. ყველა ამას მშვიდობიანი ქართლელის გლეხისაგან არავინ არ მოელოდა. მაგრამ მის შორის გაჩნდნენ ხალხის მტრები, ხულიგანები, პოლიციის აგენტები, რომელთაც ისარგებლეს გლეხების უვიცობით, მოატყუეს იგინი, კლასთა ბრძოლა გაამწვავეს იმ განზრახვით, რომ ორივე მებრძოლი კლასი დაეუძლურებინათ და მონობის უღელ ქვეშ დაენარჩუნებინათ. სავალალოდ, ამ კლასთა ბრძოლის გამწვავებას ხელი შეუწყო თვით თავად-აზნაურობამ, რომელმაც დააარსა ეგრედ წოდებული შავი რაზმი, რომელმაც გამოიწვია საგლეხო მილიციის შედგენა... ასე იყო, თუ ისე დღეს ქართლის გლეხობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია და შემწეობას ითხოვს. საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ბევრია იმისთანა სახლობა, რომელსაც განმათავისუფლებელის მოძრაობის მტრებმა მოაკლეს შემნახველი მამა, ძმა, ქმარი და უკიდურესს გაჭირვებაში ჩააგდეს. ესენიც ხელის გამართვას ითხოვენ.

ისიც უსათუოდ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ რუსეთის და კავკასიის მდგომარეობა ისეთი საშიშია, ისეთი მოსალოდნელია სასტიკი ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომ ჩვენ უსათუოდ მოვაკლდებით მრავალს ჩვენს მოძმესა და არა ერთი ოჯახი, დღეს უზრუნველყოფილი, ახლო მომავალში ადვილად შეიძლება სრულიად უსახსროდ დარჩეს. ამდენს გაჭირვებას პირქარად არ გაუხდება შემთხვევითი შეწირულებანი, თუნდა დროებით გულ-უხვობაც გამოიჩინოს ჩვენმა საზოგადოებამ. აქ საჭიროა სამუდამო ხარჯის კისვრა, ყოველთვიური გადასახადი. საჭიროა დაარსდეს **განმათავისუფლებელი საყოველთაო ფონდი,** რომელმაც უნდა დახმარება გაუწიოს ჯერ გურულებს და მერმე სხვა გაჭირვებულ მებრძოლ ქართველებსა... სასარგებლოდ ამ ფონდისა ვუდგენ რედაქციას ათს თუმანსა (100 მან.) და, გარდა ამისა, ვალად ვიდებ მომავალი იანვრიდან ყოველთვე ვიხადო თვეში თითო თუმანი, რაც შეადგენს მეათედს ჩემის თვიურის სახსრისას ამ წლის განმავლობაში.

„წერა-კითხვის საზოგადოებას" ვთხოვ ამავე ფონდს შეუერთოს მთელი შემოსავალი ჩემი წიგნებისა „რანი ვიყავით გუშინ".

**იაკობ გოგებაშვილი**

—

P. S. განმათავისუფლებელის ფონდის ორგანიზაციას ესაჭიროება გამოკვლევა და განსაზღვრა. ეს საგანი განიხილება განსაკუთრებულს კრებაზე, რომელიც მოხდება „ც. ფურცლის" რედაქციაში ზეგ, ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე... ვთხოვ ყველა ჩვენ გაზეთის რედაქციას ორ-ორი წარმომადგენელი გაგზავნოს ამ კრებაზე საგნის განხილვაში მონაწილეობის მიღებისათვის. **ი. გ.**

## მიტინგებზე

—

კვირას, 6 ნოემბერს დიდუბის მოედანზე მოხდა შეერთებული მიტინგი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებისა, სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და სომეხთა სარევოლიუციო ფედერაციის „დაშნაკცუტუნისა". დაესწრო ათას კაცზე მეტი. მიტინგი დილის 11 საათზედ დაიწყო და გასტანა ნაშუადღევის 2 საათამდე.

უმთავრესი საგანი, რომელიც განხილულ იქმნა, შეეხებოდა ჩვენს ეხლანდელს პოლიტიკურს მდგომარეობას და პოლონეთში საომარ დროის წესების შემოღებას. ილაპარაკა ათამდე ორატორმა რუსულად, ქართულად, პოლონურად და სომხურად. გამოსთქვეს, რომ მთავრობა მეტად უცნაურს გზას დაადგა მანიფესტის გამოცხადების შემდეგ, თავისუფლება ქაღალდზე უოფილა დაწერილი და ცხოვრებაშიკი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. მაგ. პოლონეთსა და რუსეთის სამს გუბერნიაში საომარი წესები გამოაცხადეს. საერთოდ ორატორებმა და კერძოდ პოლონელებმა აღნიშნეს, რომ მთავრობის აზრით ვითომ პოლონეთს განშორება უნდოდეს, სიცრუეა, პროვოკაციაა. პოლონელების პოლიტიკურ ორგანიზაციათა შეერთებული მოძრაობა მიმართულია იმ აზრისაკენ, რომ ხალხს მოუპოვონ ავტონომიური თვითმმართველობა ფედერატიულს ნიადაგზე. პოლონელებს ღრმად სწამთ, რომ ცენტრალიზმი თვითმპყრობელობისა თუ სხვა სახით ხელსაყრელი არ იქნება განაპირა ქვეყნებისა და ხალხებისათვის. ერთი ერი მეორეზე რომ არ გაბატონდეს და ხელი არ შეეშალოს კლასთა გათვითცნობიერების საქმეს, საჭიროა ისეთი წესწყობილება, რომლის დროსაც არც ერთი ერი არ დაიჩაგრება. ამისათვის საჭიროა, ყველა ხალხს ჰქონდეთ თვითმმართველობა ავტონომიის სახით. პოლონეთსაც ეს უნდა. ორატორები დამსწრეთ უწოდებდნენ, შეერთდნენ ძლიერის ბრძოლისათვის, რადგან სწორედ ეხლა იწყება თავი დასასრულისა და მხოლოდ ამ გზით მოიპოვებს მშრომელი უმრავლესობა ნამდვილს თავისუფლებას.

კარგა ხნის თათბირის შემდეგ მიტინგმა, ოთხის ხმის წინააღმდეგ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „შეერთებულ მიტინგზე 6 ნოემბერს შეკრებილნი პარტიები სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებისა და სომეხთა რევოლიუციონურ ფედერაციის „დაშნაკცუტიუნისა" და, თათბირი გვქონდა რა მთავრობის ეხლანდელ მოქმედებაზე, დავადგინეთ: 1. გამოეცხადოს უღრმესი თანაგრძნობა პოლონეთის ხალხს, რომელიც თავგანწირულად იბრძვის თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ განთავისუფლებისათვის და უნდა რომ რუსეთის ყველა მშრომელ უმრავლესობასთან ერთად რუსეთში დაამყაროს დემოკრატიულ სახელმწიფოს წესწყობილებანი, რომლის დროსაც ადგილი არ ექნება ნაციონალურს ძალმომრეობასა და შევიწროებას და პირადობის გაქელვას; 2. გამოეცხადოს ზიზღი თანამედროვე მთავრობას, რომელმაც ასე ვერაგულის სიჩქარით გამოაცალა პოლონეთს ხელიდან თავისუფლების ის ნატამალიც-კი, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადდა. აღნიშნული პარტიები იწვევენ რუსეთის მებრძოლ ელემენტებს, შეერთდნენ სოლიდარულ ბრძოლისათვის, რომ ამ გზით განხორციელდეს ჭეშმარიტი ხალხის

ჰერობელობა, დაფუძნებული დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკის პრინციპზე“.

—

ამავე დღეს ნაძალადევში მიტინგი გამართა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. მიტინგს დაესწრო სამი ათას კაცზე მეტი. მიტინგი დაიწყო დილის 10 საათიდან და ნაშუადღევის სამ საათამდე გაგრძელდა. მიტინგს განსახილველად ჰქონდა მთავრობის სათავეში მდგომ ვიტტეს პოლიტიკა. ილაპარაკა 10-ზე მეტმა ორატორმა ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ენებზე. განსახილველ საკითხის შესახებ ორატორებმა სთქვეს, რომ დღევანდელი მდგომარეობა ეხლანდელ მთავრობის წყალობით გამოურკვეველს გარემოებაშია. არა გვჯერა, მთავრობა გულწრფელად იქცეოდეს და ადვილად შესაძლებელია, ის თავისუფლებაც წაგვართვას, რაც მოგვიპოვებია. გრაფ ვიტტეს მთავრობის მოქმედება ორგულია. მას უნდა არც ძველს რეჟიმს მოშორდეს და ახალსაც ეტანება ხალხის დასანახავად. მაგრამ ძალიან სცდებიან. მშრომელი ხალხი იმდენად გათვითცნობიერებულია, რომ ამგვარის ხრიკებით აღარ მოსტყუვდება. მთავრობას თუ ნამდვილად სურს ცხოვრებაში განახორციელოს მოპოვებული თავისუფლება, რას ნიშნავს საომარ დროის წესების გამოცხადება პოლონეთსა და რუსეთის სამს გუბერნიაში? აშკარაა, მალე რეაქცია დაიწყება. ნამდვილი დემოკრატიული თავისუფლება მხოლოდ შეიძლება ხალხმა თავისის ძალით მოიპოვოს და ამიტომ ყველა მებრძოლნი უნდა შევერთდეთ და მოვემზადოთ.

შემდეგ მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ტფ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის მიერ მოწვეულმა სახალხო მიტინგმა 6 ნოემბერს გაიცნო პოლიტიკა გრაფ ვიტტესი და აღიარა, რომ მთავრობა თავისუფლების დროშით განაგრძობს ძველის რეჟიმის პოლიტიკას, რაც გამოიხატება საომარ დროის წესების შემოღებით პოლონეთსა და სამს გუბერნიებში. ესევე გამოიხატება კრონშტადტის იმ მატროსების დახვრეტით, რომელნიც თავისუფლებისათვის იბრძვიან, და აგრეთვე იმითი, რომ ძველ წესწყობილების მოხელენი, მზად მყოფნი ყოველს მოხერხებულ შემთხვევისთანავე კონტრ-რევოლიუცია დაიწყონ, აქამდე თავიანთ ადგილებზე არიან. მიტინგი ამის გამო ენერგიულს პროტესტს უცხადებს გრაფ ვიტტეს მთავრობას და იწვევს მოქალაქეთ შეუდრეკელ ბრძოლისათვის ნამდვილ სახალხო თავისუფლების სახელით, რაც შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარების დროს. ამასთან მიტინგი მოითხოვს აიხსნას საომარ დროის წესები მთელს რუსეთში. მიტინგი იმეორებს თავის რეზოლიუციას, რომ დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქმნენ ძველის რეჟიმის მოხელენი.

მიტინგზე გამოცხადდა აგრეთვე, რომ ამ დღეებში ვიღაცეებმა ხმები დაჰყარეს, ვითომ საერთო გაფიცვა უნდა მოხდეს. ამით სარგებლობენ ზოგიერთი ვაჭრები და სანოვაგეს მამასისხლად ჰყიდიან. საყოველთაო გაფიცვის შესახები ხმები სიმართლეს მოკლებულია.

—

ამავე დღეს მამა-დავითის მთაზე მოხდა ტფილისის სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთა მიტინგი. თუმცა უფროსებმა ნება არ დართეს და ამინდმაც ხელი შეუშალა, მაგრამ მიტინგს ოთხასამდე მოხელე მაინც დაესწრო. პირველად გამოსთქვეს, დროა მოხელეებმაც შევიგნოთ და აღვიაროთ, რომ ჩვენც თავისუფალი მოქალაქენი ვართ და რუსეთის სხვა მებრძოლ ელემენტებთან ერთად ჩვენც წარვადგინოთ პოლიტიკური მოთხოვნილებანიო. თავმჯდომარემ განაცხადა, უნდა შევადგინოთ ერთი ძლიერი კავშირი, რომ საერთო ძალით შევსძლოთ საზოგადოდ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებაო.

კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო კავშირის შედგენა და ამის შესახებ მიიღო შემუშავებული რეზოლუცია: „ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობამ რუსეთში მთავრობა აიძულა 17 ოქტომბრის მანიფესტით აღეარებინა სახელმწიფოში კონსტიტუციონალური ფორმა მართვა-გამგეობისა და უარ-ეყო ის წესი, რომელიც დღესაც სულს უხუთავს რუსეთის 140 მილიონიან ხალხს. საქმის ასეთი მიმდინარეობა ცხადად მოწმობს, რომ ბიუროკრატიას ძალა არ შესწევს, განახორციელოს მინდობილი საქმე მთელის სახელმწიფო ორგანიზმის გარდაქმნისა ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე. ამიტომ ტფ. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭისყრით, ეროვნების, სარწმუნოებისა და სქესის განურჩევლად, მოწვეულ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან გაანთავისუფლოს მხარე მოსალოდნელ უბედურებათაგან და ძლიერ კულტურულ გზაზე დააყენოს. კავშირი შეერთდა როგორც საერთო პოლიტიკურის, ისე პროფესიონალურ საჭიროებათა ნიადაგზე, რომელიც გამომდინარეობს მოხელეების, განსაკუთრებით წვრილ მოხელეების საცოდავ, უუფლებო ეკონომიურ მდგომარეობიდან. კავშირს აზრადა აქვს მოაწყოს შესცვალოს კანცელარიებში არსებული ბრძანებითი წესი და მოაწყოს წვრილ და მსხვილ მოხელეთა შორის სასყიდლის თანასწორად განაწილება. რომ უფრო კარგად განახორციელოს თავისი მიზანი კავშირი ემხრობა სრულიად რუსეთის მოხელეთა კავშირს, რომელიც თავის მხრივ კავშირთა კავშირში შევიდა“.

ამ რეზოლიუციას უმრავლესობამ მოაწერა ხელი. კრებას ლაპარაკი ჰქონდა აგრეთვე, რა იღონოს, რომ კავშირის წევრნი უფროსებმა სამსახურიდან არ დაითხოვონ. კრებას აცნობეს, რომ სახაზინო პალატის უფროსმა მიხაილოვმა უკვე დაითხოვა მოხელე ნევეროვიჩი მხოლოდ იმიტომ, რომ პალატის დარბაზში მოხელეთა თათბირის დროს თავისუფალი და გაბედული ლაპარაკი გაჰბედა. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ კავშირი ეხლა შესდგა და, როგორც ახლად ფეხ ადგმულს სუსტს ორგანიზაციას, არ ძალუძს რადიკალური ღონისძიებანი იხმაროს პალატის უფროსის ბ-ნ მიხაილოვის წინააღმდეგ. დაადგინა, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით კავშირმა პროტესტი გამოუცხადოს მიხაილოვს. ბ-ნ ნევეროვიჩის დათხოვნის გამო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „გამოეცხადოს პროტესტი სახაზინო პალატის მმართველს მიხაილოვს იმ მოქმედებისა გამო, რომელიც მან ჩაიდინა ნევეროვიჩის დათხოვნით. ნევეროვიჩი ხელმძღვანელობდა 17 ოქტომბრის მანიფესტით და მან მიხაილოვისავე ნება დართულ კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა. ასეთი ტრეპოვისებური ოინები დღეიდან მოსათმენი აღარ არის. წინადადებას ვაძლევთ მიხაილოვს, ნევეროვიჩი ისევ მიიღოს სამსახურში“.

კრებამ მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია სრული ამნისტიის შესახებ.

კასის მოწყობა და ბიუროს კრებისათვის შენობის შოვნა ბიუროსვე დაევალა. კავშირის თანხის გაძლიერების შესახებ ერთმა სთქვა: ტფილისში არსებობს გადამწვართა საზოგადოება, რომელსაც 2000 მან. ექნება, რადგან საზოგადოება ფაქტიურად გაუქმდა, წინადადება მივცეთ შემოგვიერთდნენ და თანხაც ჩვენს კასაში შემოიტანონო. კრებამ ამ საქმის მოწესრიგება მიანდო ბიუროს.

## ტელეგრამმა ქალაქისა და ერობის მოღვაწეთა კრებას

მკითხველებმა იციან, რომ 6 ნოემბერს მოსკოვში უნდა დაწყებულიყო რუსეთის საქალაქო მართველობისა და ერობის მოღვაწეთა მესამე კრება. ამ მოღვაწეთა პირველ ორ კრებას ჩვენის ქვეყნის წარმომადგენელნიც დაესწრნენ და წარადგინეს მოთხოვნა საქართველოს ავტონომიის შესახებ. ხოლო ამ მესამე კრებაზე არავინ წავიდა ჩვენის ქვეყნიდან. ამიტომ ქუთ. და ბათუმის ქალაქთა წარმომადგენლებს დეპეშა უნდა გაეგზავნათ; ტფილისიდან-კი ფტ. საბჭოს ხმოსანმა თავ. ვლ. მიქელაძემ ტელეგრაფით გაგზავნა მოხსენება კრებისთვის წარსადგენად. მოგვყავს აქ ეს დეპეშა სრულად:

„იმედი მაქვს, რომ დღეს შეკრებილნი რუსეთის განათლებულნი შვილნი ჭეშმარიტ დამცველებად აღმოჩნდებიან საქართველოსა და ქართველ ხალხისა. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 14 საუკუნეს სუფევდა, იმის ისტორია დაუსრულებელი ბრძოლაა კულტურის დასაცველად. ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე საქართველოს ხვდა პირველი და უსასტიკესი იერიშები ევროპის ცივილიზაციის საშინელ მტრებისა; პირველად საქართველო უწევდა წინააღმდეგობას ამ მტერთ და თავის შვილთა სისხლით რწყავდა მრავალტანჯულ სამშობლოს არე-მარეს. პატარა საქართველომ უფრო მეტი სამსახური გაუწია ცივილიზაციის საქმეს, ვიდრე საქრისტიანო ეპოქის სხვა რომელმამე პატარა ქვეყანამ. იმისი საერო და სასულიერო ლიტერატურა, უმდიდრესი და შესანიშნავი ძეგლები ხუროთმოძღვრებისა, რომელიც გაფანტულია მთელს დასავლეთ ამიერ-კავკასიაში ტრაპეზონამდე, უტყუარად მოწმობენ ამ ერის სულიერს ძლიერებას. საქართველომ დაიცვა თავისი ეროვნება, სარწმუნოება და სახელმწიფო წესწყობილება მეცხრამეტე საუკუნემდე, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისს თავისი სვე-ბედი ჩააბარა ძლევამოსილს რუსის სახელმწიფოს, მაგრამ იმ პირობით, რომ დაცულ იქმნან იმისი წმინდა უფლებანი.

მართალია, საქართველოს დაუმკვიდრდა გარეშე მტრებისაგან ხელუხლებლობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ხელუხლებლობა ქვეყანას ერთობ ძვირად დაუჯდა. კავკასიის ადმინისტრაციის მოღვაწეობამ მთელის საუკუნის განმავლობაში გააკოტრა ხალხი ნივთიერადაც და სულიერადაც, არც ერთი მხარე ქართველ ერის ცხოვრებისა არ გადურჩა საქართველოში დამკვიდრებულ ბიუროკრატიულ წესწყობილების გამანადგურებელ და გამხრწნელ გავლენას. ენა, ეკკლესია, სკოლა—ყველაფერი დათრგუნვილ იქმნა; თავად-აზნაურობა, გლეხობა, მუშები—ყველანი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა მთავრობამ და ქართველი ერი განადგურების გზაზე დააყენა.

ხოლო ქართველ ერს სრული უფლება აქვს თავისუფლად განვითარებისა, სრული უფლება აქვს თანასწორუფლებიანი წევრი იყოს დიდის რუსეთის სახელმწიფოსა. მძიმე და შემაწუხებელი უუფლებობა იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს ხალხმა უკანასკნელ წლებში, სანამ დაიწყებოდა რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა, უარჰყო სასამართლოც, ადმინისტრაციაც და სარევოლიუციო გზას დაადგა; ხოლო როცა რუსეთშიაც დაიწყო მოძრაობა, ქართველი ხალხი კავკასიაში მოწინავე მებრძოლად გამოვიდა. განმათავისუფლებელი მოძრაობა გავრცელდა საქართველოს ყველა კუთხეში და მთელის რუსეთის მოძრაობასთან ერთად მიისწრაფის შემოიღოს ისეთი წესები, რომელნიც განაახლებენ რუსეთის ხალხისა და ჩვენის ხალხის ცხოვრებას. საქართველო რუსეთის განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს. ეს ჰსურს მთელ ხალხს, ეს არის აზრი ყველა მისი შვილებისა, წოდებათა განურჩევლად. ქართველ ერის კეთილდღეობა მჭიდროდ არის შეკავშირებული რუსეთის სახელმწიფოსა და რუსის ხალხის კეთილდღეობასთან. ეს არის საფუძველი ქართველ ერის პოლიტიკურის რწმენისა.

მაგრამ, ამასთანავე საქართველოს ჰსურს ისარგებლოს ფართო ოლქობრივ თვითმართველობით, რომელსაც საკანონმდებლო უფლებაც უნდა ჰქონდეს; ეს შეაძლებინებს მას სავსებით განავითაროს თავისი სულიერი და ნივთიერი ძალები. თვითგამორკვევის თავისუფლება ყველაფერში, რაც არ შეეხება მთელის სახელმწიფოს საერთო ინტერესებს,—აი რას მოელის საქართველო რუსეთისაგან! მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია ქართველ ერს, კავკასიის სხვა ერებთან ერთად, რომელთაც აგრეთვე სწადიათ თავისუფლება, ნაყოფიერ მუშაკად გახდეს საკაცობრიო კულტურულ მუშაობის ასპარეზზე“.

## დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ „სევერნი ნომრების“ მოსამსახურეთაგან 11 მან., და 15 კაპ. თავისუფლებისთვის თავგანწირულ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ. შემომწირველთა სია:

ივანე სარჯველაძე 1 მან., ეფრემ ბერძენიშვილი 1 მან., ევნატე რამიშვილი 50 კაპ., არტემ ხარებავა 50 კაპ., კოსტა ხარებავა 50 კაპ., ერისტო წოწორია 50 კაპ., სიმონ ხოშტარია 50 კაპ., გიორგი ბარკალაია 50 კაპ., ნიკო ქოიავა 50 კაპ., ლუკა ქოიავა 50 კაპ., პეტრე კიკნაველიძე 50 კაპ., ივანე საბულუა 50 კაპ., ალექსი არჩუაძე 50 კაპ., გიორგი ცაგარელი 50 კაპ., სანდრო საჯაია 50 კაპ., ვანო ქორიძე 50., მინა რაჭველიშვილი 50 კაპ., ვარლამ გოზერიძე 50 კაპ., გიგო სხიტლაძე 50 კაპ.. უსახელო 50 კაპ., თედო გვრიტიშვილი 15 კაპ.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან მცირე შემოწირულება—ხუთი მანეთი იმ გმირ გურულ ოჯახთა სასარგებლოდ, რომელთაც თავისუფლების შეძენისთვის შესწირეს თავიანთი თავი. ვაშა თქვენს გამარჯვებას!

ბაღოსანი არჩილ **დარეჯანაშვილი**.

—

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით 10 მან. და გთხოვთ ამ ფულიდან—6 მანეთი გადასცეთ დაზარალებულ თანამოძმეებს გურულებს, დანარჩენი 4 მანეთი-კი საქართველოს სხვა დაზარალებულ სოფლების სასარგებლოდ.

**ი. ბალუევი**.

—

ბარნაბა მერაბის ძის სალაძის მიერ შეკრებილი 22 მან. 45 კაპ. შემომწირველთა სია:

ბარნაბა მერაბისძე სალაძე 5 მან., კვირკველია ანტონ 50 კაპ. კაპანაძე სარდიონ 50 კაპ. კვატაშაძე ლავრენტი 50 კაპ. მზარელავა იაგორ 50 კ., ტარ. შელია 1 მ., დეკანოზიშვილი გიორგი 50 კ., გ. კვალიშიძე 20 კ., ვ. მირზოევი 50 კ., გეჯაძე 10 კ., ალ. ლომიძე 30 კ., ევ. ნოლჩენოვ 20 კ.. ალ. მამაცარაშვილი 20 კ., ქარდლაძე 20 კ., №. 1 მან., ანდრიევი 25 კ., ალ. ხიერელი 30 კ., ვაიტაშე 40 კ., გოროზცოვი 30 კ., ბიზოლევიჩი 50 კ., მ. მაისაშვილი 1 მ., კ. პოტენკო 50 კ., პ. ლიცკევიჩი 1 მ., რ. გ. მაჭავარიანი 2 მ., გ. თედეშვილი 2 მ., ლორთქიფანიძე ნიკ. 1 მ., ნასიძე სოლომონ 2 მან.

ამათ გარდა შემოსწირეს ანტონ და ნინო მგელაძეებმა—10 მ., ლევან მიქელაძის და გერასიმ აკოფოვის ქარხნის ხელოსნებმა (ფილ. რუსეიშვილის შეგროვილი)—7 მან., მღვ. იოსებ ჩიტაძემ—3 მან., მ. ა. ციციშვილმა—ორი მან.

დღემდე რედაქციამ გურულების სასარგებლოდ მიიღო 358 მ. 30 კ.

საზოგადოდ დაზარალებულ ქართველ გლეხთა სასარგებლოდ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა 100 მანეთი გოგებაშვილისაგან და 14 მანეთიც სხვა, სულ 114 მანეთი.

სულ დღემდე რედაქციამ მიიღო 472 მ. 30 კ.

# ახალი ამბავი

✦ **პოლონეთის საქმეთა გამო.** პოლონეთის რკინის გზების რუს მსახურებისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა ჩვენს რკინის გზას (ასეთივე დეპეშა ყველა სხვა გზებს დაეგზავნა): „პოლონეთის რკინის გზებზე მსახურ რუსებს 2 ნოემბერს კრება ჰქონდათ მომავალ საერთო გაფიცვაზე მოსალაპარაკებლად. კრებამ დაადგინა: რადგან კავშირთა კავშირს ამ გაფიცვით ჰსურს, ალბად, ხელი შეუწყოს პოლონეთის ავტონომიას, ვთხოვოთ რუსეთის ყველა რკინის გზებზე მსახურ ამხანაგთ ნუ დაიწყებენ გაფიცვას. ეს საკითხი სახელმწიფო სათათბირომ უნდა განიხილოს. რუსეთისა და გერმანიის საზღვარზე 200 ათასი ჯარის კაცი სდგას, რომელიც მზადაა შემოესიოს ჩვენს ქვეყანას, თუ პოლონეთს ავტონომია მიენიჭა. ამიტომ ჩვენ არ გავყვებით კავშირთა კავშირს, რადგან არ გვსურს რუსეთში უწესოება გაძლიერდეს“.

✦ **მანიფესტის გამოცემის აკრძალვა.** თელავში ადგილობრივ პოლიციას 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის ნება არ დაურთავს. აი, ასეთი ჭკუა-მოკლე და თვინება ვაჟბატონები განაგებდნენ და ჯერ კიდევ განაგებენ ხალხის ბედ-იღბალს.

✦ **გენერალ-გუბერნატორის თვითნებობა.** გურიისა და სხვა ამბების გამო საზოგადოებამ მთლად დაივიწყა ბათუმი და მთლად ბათუმის ოლქი, სადაც ჯერ კიდევ მეფობს უწინდელი თვითნებობა და ძალადობა. საომარ დროის წესები კიდევ არ გაუუქმებიათ ბათუმის ოლქში. ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორის ფონ-პარკაუს თვით-ნებობა იქმადე მივიდა, რომ 30 ოქტომბერს, ესე იგი მანიფესტის შემდეგ, აკრძალა გამოცემა ადგილობრივ გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ისა და რედაქტორი ალექსანდრე ნიკიტინ ადმინისტრატიულის წესით ბათუმიდან ასტრახანის გუბერნიაში გადაასახლა. მიზეზად გენერალ-გუბერნატორს დაუსახავს გაზეთის „რევოლიუციონური მიმართულება“. სწორედ გასაკვირველია! ხსენებულ გაზეთში ისიც ვერ იბეჭდებოდა, რაც ყოველ დღე სხვა პროვინციის გაზეთებში იბეჭდება და სადა ნახა გათამამებულმა ბიუროკრატმა რევოლიუცია? ბ-ნ ნიკიტინს საჩივარი გაუგზავნია როგორც გრაფ ვიტტესა, ისე ნამესტნიკისათვის. საზოგადოდ, ბათუმში დიდი შიშია თურმე. დიდ-ძალი ხალხი უშიშარ საყოფლად თავის ცოლ-შვილსა ჰგზავნის ოსმალეთის ქალაქ ტრაპეზუნდსა და სხვაგან. ბათუმში ამ ჟამად გამოდის სხვა გაზეთი—„ბათუმსკი ლისტოკ“-ი.

გუშინ, ბათუმის ქალაქის თავის შუამდგომლობის თანახმად, ნამესტნიკმა შესცვალა დადგენილება ბათუმის გენერალ-გუბერნატორისა ნიკიტინის ასტრახანის გუბერნიაში გადასახლების შესახებ.

✦ **მამაცი გენერალი.** ზოგიერთი პოლკები თავიანთ ბარგი-ბარხანით უკვე დაბრუნდნენ დასავლეთ საქართველოდან. გუშინ, 7 ნოემბერს, უნდა გამოსულიყო უკანასკნელი პოლკი. ამ რამდენისამე დღის წინად, როდესაც ტფილისიდან სამტრედიისაკენ მიდიოდა ერთ-ერთმანეთს გადაბმული სამხედრო მატარებლები, კაცს ეგონებოდა მტრის ბანაკის აღება უნდათო. ვინც ჯარის დაბრუნება ნახა, ადვილად შეამჩნევდა, რომ ჯარის კაცნი და ყაზახები ცუდ გუნებაზე იყვნენ. იქ წასვლისას კი ყველას სიმხიარულე ეტყობოდა. ყველაზე მეტად კი მშვიდობიანობის ჩამოგდებამ გენერალი ალიხანოვ-ავარსკი გააბრაზა. იმან „შეკაზმა“ თავისი

# ფელეტონი

## სამეგრელოს ამბები

ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაცია.—ს. კახათის ტრაგედია.—ყაზახთა მისვლა და მათი თავ-გასულობა ზუგდიდში.—ს. მუხურის დაწიოკება.—„ოცინდალეში“ ჩადენილი ბარბაროსობა.—ს. ქაქვინჯის დარბევა.—ეგზეკუციების ჩაყენება სოფლებში.—მოუმზადებელი მოქადაგენი.—გეთია და თოლორდავა.—წოდებათა შორის ბრძოლა.—ზოგიერთი უტაქტობა.—თავ. პლატონ დადიანის მოკვლა.—რეაქცია.—ახალ პარტიის მოქმედება.—ერობის კრებები.

სიტყვის და წერის თავისუფლებაა. დროა ანგარიში გავუწიოთ უკუღმართ ძალებს და სინათლეში გამოვიტანოთ მათი შავ-ბნელი საქმეები. ვინ მოსთვლის, რაოდენი სისაძაგლე, რაოდენი უმსგავსოება იქმნა ჩადენილი ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში! სხვებთან ერთად უსასტიკესი რისხვა დაატყდა სამეგრელოს. შაჰ-აბასისა და აღა-მაჰმად-ხანის დროს თუ გადაჰხდა საქართველოს ისეთი უბედურება, რომელიც წელს სამეგრელომ გამოიარა. ამ მხრივ ქართლის უკანასკნელი ამბები თუ შეედრება. საზოგადოებრივი აზრი ღირსეულს მსჯავრს დასდებს ხალხის მჩაგვრელთა საქციელს.

სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა დაიწყო აგრარაულს ნიადაგზე ამ სამიოდე წლის წინად, როგორც გურიაში, თითქმის ერთსა და იმავე დროს. ს. აბასთუმანსა და სხვაგან ხდებოდა ხალხის ყრილობები და მოლაპარაკება. მაგრამ ეს მოძრაობა მალე ჩაჰქრა, რადგან არა ჰყავდა მომზადებული ხელმძღვანელები და მთავრობამაც მსწრაფლად დაიჭირა და გადაასახლა შეგნებული ელემენტები. წელს კი, როდესაც მთელი რუსეთი აბობოქრდა, გურიის ამბები ქვეყანას მოედო და საერთო გამოღვიძება დაიწყო, სამეგრელოშიაც საოცარის ძალით იფეთქა მოძრაობამ.

ამისათვის შესაფერი ნიადაგი კაი ხანია მომზადებული იყო. მიწის სიმცირე, აუარებელი სახელმწიფო და საბატონო გადასახადები აუტანელს ჰხდიდა გლეხ-კაცის ცხოვრებას. გახშირდა ქურდობა-აბრაგობა, ადმინისტრაცია რეპრესიულს ზომებს ხმარობდა ქურდებისა-კი არა, მცხოვრებთა წინააღმდეგ, რათა ქურდი ეჩვენებინათ. უფრო ხშირად მართალსა სჯიდა და მტყუანს თავზედ ხელს უსვამდა. შეძლებული თავად-აზნაურნიც ეპოტინებოდნენ ძველს წოდებრივს ბატონობას და გლეხებზედ ყოყოჩობდნენ.

მოხდა სოფლებში გლეხთა ყრილობა, სადაც შეჰფიცეს ერთმანეთს და გადსწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ თავად-აზნაურთ, არ დაიმუშავონ მემამულეთა მიწები, გააუქმონ სოფლის კანცელარიები, მოსპონ გადასახადები. შეხვედრის დროს ერთმანეთს ყველა ულოცავდა „გაუმარჯოს ერთობასო“. მაზრის ადმინისტრაცია პირველში დაიბნა, არ იცოდა, რა ექმნა, თავი მოიკატუნა და შიშით ხალხს წინააღმდეგობას არ უწევდა. მაგრამ ჩუმჩუმად მოხსენებებს ჰგზავნიდა, სადაც ჯერ არს. მაზრის უფროსად გახლავთ ა. ა. კელამოვი, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში მეტად ცუდი გავლენა იქონია სამეგრელოზედ. მან აამაღლა და თავის ყურ-მოჭრილ ყმებად გაიხადა ორი ადგილობრივი პოლიციელი—ბოქაული სოლომონ შენგელაია და ექვთიმე კვარაცხელია. უფრო შესანიშნავია სოლომონ შენგელაია. თვით ავლაბრის კინტოები! აგანაც ვერ გაიგონებთ ისეთს მყრალს სიტყვებს და გინებას, როგორაც ხმარობს ხალხში ეს პოლიციელი შენგელაია. მეგრელობა საზოგადოდ ცნობილია ზრდილობიანის სიტყვა-პასუხით და საკვირველია, საიდან გაჩნდა ეს ნაძირალი. კელამოვის გავლენა თუა. ტყულად არაა ნათქვამი: „ხარი ხართან დაბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. ექვთიმე კვარცხელიაზედ გაზეთებშიაც ბევრი ეწერა. ამ ბოქაულს ბევრი „საქმენი საგმირონი“ ჩაუდენია და თავის საქმეში ძალიან დახელოვნებულია. ვსთქვათ, მიდიხართ ბულვარშიდ გაზეთს ჰკითხულობთ, ან მეგობარს ემუსაიფებით, უკანიდან აგეტუზება კვარცხელია და სმენადაა გადაქცეული, თუ რას იტყვით.

აი, ამ სამმა კაცმა, ამ ტრიუმვირატმა დააქცია და დაანელა სამეგრელო.

ერთს დღეს ზუგდიდის მახლობელ სოფელს კახათში ხალხი შეიკრიბა და დაიწყო თავის საჭიროებაზედ ლაპარაკი, უცებ თავს დაესხა ზუგდიდან გამოგზავნილი ს. შენგელაია თავისის „სტრაჟნიკებით“ და დაიჭირა რამდენიმე გლეხი. ხალხი დაედევნა და მოსთხოვა ამხანაგების განთავისუფლება. ბოქაულმა ყურადღება არ მიაქცია და წინ გასწია. ხალხს ახლო სოფლებიდან თანდათან ემატებოდა და რამდენიმე ათასი გლეხი გარს შემოერტყა ბოქაულს და მედგრად მოსთხოვა დაპატიმრებულთა განთავისულება. ამ დროს ჯალათმა ბოქაულმა უბრძანა თავის დარაჯებს ესროლათ, 14 გლეხი ტყვიით განგმირულ იქმნა, ხალხი მაინც კლდესავით ერთს ადგილს იდგა და არ უთმობდა. მაშინ-კი იკადრა პოლიციელმა დაჭერილთა განთავისუფლება და თავისის დარაჯებით გაქცევა ზუგდიდისაკენ. კახათის ტრაგედიას მოჰყვა სისხლის ღვრა სხვა და სხვა სოფლებშიაც.

მაზრის უფროსი კელამოვი დაჟინებით თხოულობდა გუბერნატორისაგან ჯარის მოშველებას. აგერ-აგერ ზუგდიდსაც აიღებენო—სწერდა იგი. და აი ერთს მშვენიერ დღეს ზუგდიდს ესტუმრნენ ყაზახები. მაშინვე დათვრნენ და გალეჭებულთ იწყეს აქეთ-იქით ხეტიალი. შევარდნენ ერთს მეუნაგრის დუქანში და ქამარი აიღეს. მეუნაგირემ ქამრის ფული მოსთხოვა. ეს როგორ გამიბედეო, და ურიადნიკმა მათრახები დაუშინა. მეუნაგრე კუჭავამ წაავლო სამოგეს საჭრელ დანას ხელი და მუცელში ჩასცა ყაზახს, რომელიც იქვე წაიქცა. ყაზახებმა მაშინვე ტყვიები დაუშინეს დუქნებს და ბევრი და ბევრი უდანაშაულო ხალხი დასჭრეს; დასჭრეს, სხვათა შორის, თავისთვის მიმავალი ვაჭარი გულორდავა. თავგასული ყაზახები ვერ დააჩუმეს თვით პოლიციის მოხელეებმაც, რომელთაგან ბევრსაც სცემეს. კელამოვმა შიშის ზარი დასცა ზუგდიდის მოქალაქეთ; ეს ყაზახები მიტომ მოვიყვანე, რომ თქვენი ცოლ-შვილი გავაუპატიურებინოო—სთქვა უფროსმა. შეურაცხყოფა მიაყენა თვით ეგრედ წოდებულ ბრწყინვალებას: **Ахъ вы запачканные дворяне**,—„რათ შეჰფიცეთ ხალხს ერთობაო“!

დააწიოკა-რა ზუგდიდი, კელამოვმა წაიყვანა ყაზახები სოფელს მუხურში, სადაც ამავე ხანებში მოკლულ იქმნა ადგილობრივი მემამულე თავადი პლატონ დადიანი. შეკრებილს ხალხს გარს შემოარტყა ყაზახები, დააშინინა მათრახები, დააჩოქა გლეხები და ძალით ატირებინა მიცვალებული დადიანი. შემდეგ უბრძანა ყაზახებს „**Громите**“-ო, და გამხეცებული მხედრები ეცნენ მუხურის დუქნებს, სახლებს, დალეწეს, დაამსხვრიეს ყველაფერი, დაიტაცეს ფული, საქონლები, ძვირფასი ნივთები, რომელთაც ურმებით ეზიდებოდნენ და ზუგდიდში კიტრის ფასად ჰყიდდნენ. სოფლის ქალები შიშით გაიხიზნენ და მახლობელ დედათა მონასტერს „ოცინდალეს“ თავი შეაფარეს. აფიცერი წინ წაუძღვა ყაზახებს, შევარდნენ ამ „ოცინდალეში“ და საზიზღარი ძალ-დატანება იხმარეს ქალებზედ, არ დაუზოგავთ მონოზნებიც-კი. ამგვარად მთელი სამი დღე არბევდნენ, აწიოკებდნენ და აუპატიურებდნენ მუხურსა და მის არე-მარეს.—ერთის წლის შემდეგ პატარა „კაზაჩკები“ დაიწყე-

რებელი და სასწრაფოდ გაემგზავრა იისაკენ. მაგრამ ბევრ ა სადგურმა გზა მისცა. ამან ძალზე გააჯავრა გენერალი. ში მამაცმა გენერალმა თვით-ნებობას ართა, ძალით წავიდა და ხაშურში სა რის შესავალის გზა დაიჭირა, ასე, რომ ესაც გენ. მალამას მატარებელი მიუა ვდა ხაშურს, გორში გააჩერეს.

◆ **ბოიკოტი.** გუშინ ჩვენს რედაქციაში ვიდნენ ტფ. ქალთა მეოთხე გიმნაზიის ფეები და გადმოგვცეს შემდეგი დადგე ება: ტფილისის ქალთა მე-4 გიმნაზიის ფეებს კვირას, 6 ნოემბერს, ჰქონდათ რთო კრება, რომელზედაც მიღებულ იქ შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, ტფილი მე-4 გიმნაზიის მოწაფენი, მოვუწო ბთ ტფილისის ყველა სასწავლებლის მო ფეებს, მხარი დაგვიჭირონ და ჩვენთან თად ბოიკოტი გამოუცხადონ აქაურ სა ნკრო სასწავლებელს და კადეტთა კორ ის მოსწავლეებს, რადგან ისინი წინ ებიან რუსეთის განმათავისუფლებელ რაობას, რაიცა გამოიხატა იმით, რომ ოქტომბრის სისხლის ღვრაში მონაწი ობა მიიღეს, ხოცავდნენ და ქლეტდნენ ს თანამოძმე ამხანაგებს. ამასთან ჩვენ, ოხსენებულ გიმნაზიის მოწაფენი, ბოი ტს ვუცხადებთ იმ მოსწავლეთაც, რო ნიც ამიერიდან რაიმე საერთო კავშირს ნიებენ მათთან, და ვთხოვთ ჩვენ თანა აზრე ამხანაგებს, ისინიც ასევე მოიქც . გახსოვდეთ და ნუ დაგავიწყდებათ, ანაგებო, რომ ის, ვინც ჩვენთან არაა ჩვენ არ თანაგვიგრძნობს, მტერია სი თლის და განმათავისუფლებელ მოძრა ისა.“

◆ **სალდათის მიერ ხალხის დაჭრა.** ბლის ქუჩაზე, 5 ნოემბერს, ღამე სალ თს მარტიროსოვს საიდანღაც მოჰხვდა . მან ასტეხა სროლა და ორი კაცი მძი ე დასჭრა. ერთი აღმოჩნდა ვანო მირია შვილი, დურგალი, მეორე ნიკოლოზ აიაშვილი.

◆ **ყაზახების თავ-გასულობა.** კასპში ნოემბერს, როდესაც იქ იდგა სამხედრო ტარებელი, სამმა ყაზახმა ძალზე სცემა მონტის უფროს მუშას პეტრე ნონიკაშ ლს და 51 მან. და 57 კაპ. წაართვა.

◆ **ნამესტნიკის ბრძანება.** მკითხველე იციან, რომ ადგილობრივ ჯარიდან ვრი ჯარის კაცი გაიქცა და თან თოფე ც წაიღო. უმაღლესის ნებართვით კავკა ის ნამესტნიკი ახლა აცხადებს, რომ იმ ქცეულ ჯარის კაცთ, რომელნიც 1-ლ ვრამდე დაბრუნდებიან თავიანთ პოლკე ი და იარაღსაც დააბრუნებენ, დანაშაუ ი ეპატიებათო.

◆ **საომარ წესების ახსნა.** კავკავისა და ერ-კავკასიის რკინის გზებზე ახსნილ იქ საომარ დროის წესები.

◆ **საქალაქო მილიცია.** ხმ. ნ. ი. თამა შევმა გუშინ დამატებითი განცხადები შეი ანა ქალაქის გამგეობაში. ხმოსანი სწერს, ომ ქალაქი 46 ნაწილად უნდა გაიყოს. ოლიციის პირველ ნაწილში საკმაოა 250 აცი, მეორეში—100, მესამეში—150, ოთხეში—100, მეხუთეში—20, მეექვსე ი—200, მეშვიდეში—200, მერვეში— 50, მეცხრეში—250, მეათეში—250, ნავ ლუხში 50 და სათადარიგოდ 100 კაცი. ულ 1850 კაცი მილიციაში. მილიციონე ი მოქალაქეებმა უნდა აარჩიონ, ხოლო ალაქმა შეაიარაღოს და შესანახი ხარჯი იღოს.

◆ **სტუდენტების დეპეშა.** ხარკოვის ქა თველ სტუდენტების ერთის წრისაგან შე დეგი დეპეშა მივიღეთ: „ჩხურვალე სა ლამს ვუძღვნით გურულებს, მოწინავე მებრძოლთ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, —გურულებს, რომელთაც გადასწყვიტეს თავი დასდონ, ოღონდ-კი ქვეყანას თავისუფლება მოაპოვებინონ. ჩვენი სალამი აგრეთვე სოფლის საზოგადოებათა იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ახდილად და გაბედულად გამოუცხადეს მთავრობას, რომ ყველა ქართველები მზადა ვართ გურულებთან ერთად სიცოცხლე შევსწიროთ თავისუფლებისათვის ბრძოლასაო“.

◆ **ვაგონების ნაკლებობა.** 16 ოქტომბრიდან, რაც გაფიცვა დაიწყო, აუარებელი ვაგონი დარჩა სხვა და სხვა სადგურზედ. თითქმის ყველა სადგურები სავსეა ვაგონებით. ჯერ ჯარის გადაყვანამ, ახლა უკან დაბრუნებამ სულ აწეწ-დაწეწა წესიერ მიმოსვლის საქმე. ეხლა გზას იმდენი თავისუფალი ვაგონები არა აქვს, რომ სახალხო მატარებლები ჰგზავნოს.

◆ **სალდათების მიერ ვაგონების გაძარცვა.** სამტრედიაში 138 ვაგონი სულ პლომბებ დაწყვეტილი აღმოჩნდა. ამ ვაგონებს დარაჯობდნენ ჯარის კაცნი. როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, თვითონ სალდათებს დაუხსნიათ ვაგონები და სხვა და სხვა საქონელი და სანოვაგეც წაუღიათ. წესიერების და კანონების დაცვაც ასე უნდა!

◆ **გენერალი მალამა.** ხუთ ნოემბერს გენერალი მალამა ქუთაისს ჩავიდა, ხოლო 6 ნოემბერს ტფილისშივე დაბრუნდა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მოთხოვნები.** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შემდეგი მოთხოვნილებანი შეიმუშავეს: 1. ჯამაგირების მომატება 30 პროცენტით; 2. 6 საათის სამუშაო დრო; 3. 4 თვე დასასვენებლად; 4. პენსიის ვადა 25 წელიწადი; 5. 3 წლის შემდეგ მომატება, 6. ჯილდოები აღდგომა-შობას: 7. კვირაუქმეში შესვენება; 8. ცენზი არა ნაკლებ საშუალო სასწავლებლის 4 კლასისა; 9. საამხანაგო სასამართლო; 10. ეროვნული განურჩევლობა; 11. სადგომების მოწყობა ჰიგიენის მიხედვით; 12. ფორმის ტანისამოსის გაუქმება და სხვა.

◆ **შენობა მიტინგებისთვის.** ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას შეიძინოს მიტინგებისა და კრებებისთვის შრომის მოყვარე საზოგადოების სადგომი.

◆ **თავის მოკვლა.** ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ამბავი მოვიდა, რომ ვიტებსკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროს ჩერვიაკოვს თავი მოუკლავს. მიზეზი ის ყოფილა, რომ კანტორის მოხელეთ ბოიკოტი გამოუცხადებიათ, რადგან მონაწილეობა არ მიუღია მოხელეთა კავშირში.

◆ **ახალი ქართული გაზეთი.** როგორც ნამდვილად გავიგეთ, ყოველ დღიური „პატარა გაზეთი“, რომლის გამოცემის ნებართვა მიიღო პ. მირიანაშვილმა, გადადის კ. ს. მესხის ხელში. გაზეთის გამოცემას ახლო მომავალში შეუდგებიან.

◆ **მოკლული ყაზახები.** 12 ოქტომბერს სუფსასა და ნატანებს შუა მე-52 ვერსზედ უნახავთ სამი მოკლული ყაზახი.

◆ **უბნის ზედამხედველი სამართალში.** მე-7 საპოლიციო უბნის ზედამხედველი ტიუშევსკი თანამდებობიდან გადააყენეს და სამართალში მისცეს იმ უთავბოლო სროლისათვის, რომელიც მან დაიწყო პირველად 22 ოქტომბერს ავლაბარში, რის გამოც დრაგუნებმა ამოსწყვიტეს მთელი ოჯახი აბოევისა,

◆ **ეკკლესიების გატეხა.** იმერეთის ეპარქიაში გაუტეხიათ საზანოსა და უზლოურის ეკკლესიები და რაც რომ ფული და ძვირფასი ნივთები ყოფილა, წაუღიათ.

◆ **ვაჭრობის შეჩერება.** ტფ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის შუამდგომლობის თანახმად კავკასიის ნამესტნიკმა დროებით შეაჩერა საჯარო ვაჭრობა „პრიკაზში“ დაგირავებულ მამულებისა, რომელიც ამ თვეში უნდა გაყიდულიყო.

◆ **პანაშვიდი.** კვირას, 6 ნოემბერს, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი პეტერბურგში 18 ოქტომბერს მანიფესტაციის დროს მოკლულ სტუდენტის ბიბილაურის სულის მოსახსენებლად.

◆ **დელეგატები.** ფოსტა-ტელეგრაფის ბიუროში დასასწრებლად არჩეულ იქმნენ შემდეგი დელეგატები: ქ-ნი ტეტუცკაია და ბ-ნი საყვარელიძე, შაიკოვი, ბლავატსკი, შური, გერმანოვიჩი, პაული, ს. ასლანოვი, გორსკი და ოქრომიძე.

◆ **ენფიანჯიანცი მიდის.** როგორც გავიგეთ, ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი ტ. ა. ენფიანჯიანცი სამსახურს თავსანებებს.

◆ **უარი სამხედრო ბეგარაზე.** ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში პირველ ნაწილიდან კენჭი უყარეს 256 კაცს. აქედან უნდა გაეყვანათ 86 კაცი. მაგრამ კენჭის ყრის შემდეგ არც ერთი კაცი აღარ გამოცხადდა გასასინჯათ. პოლიციას დაევალა მათი მოყვანა.

◆ **მკვლელობა.** მეათე საპოლიციო უბანში შერემეტევის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს ხანჯლით სახლის პატრონი შეტუხინა, 55 წლისა. მკვლელები ვერ შეიპყრეს.

◆ ამას წინად მოგვიტანეს სამგლოვიარო განცხადება, რომელიც შეცდომით ყოფილიყო შედგენილი. განცხადება შეეხებოდა 22 ოქტომბრის უდანაშაულო მსხვერპლს სიმონ ჯამუკაძეს. განცხადებაში ჯამუკაძესთან ერთად შეცდომით მოკლულად გამოცხადებული იყო აგრეთვე სოფიო დავითის ასული ქათამაძისა. ქ-ნი ქათამაძისა არა თუ არ მოუკლავთ, —მან თავის სარჯით და მეცადინეობით დაასაფლავა უმიზეზოდ მოკლული ჯამუკაძე.

◆ გამგე კომიტეტი „ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა“ დიდ მადლობას ჰსწირავს ნინო მიხეილის ასულს ეგითხანოვისას ორას მანეთის შემოწირულისათვის ხიდის ასაშენებლად ტფ. ქართვ. თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიის შენობის მამულში

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში იორის ქუჩაზედ, 5 ნოემბერს ერთს ავლაბარის მცხოვრებს გზაზე დაჰხვედრია დარაჯი და რევოლვერ ამოღებულს ფული მოუთხოვნია. დარაჯს წაურთმევია 9 მან., საათი და სხვა ნივთები.

◆ 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მოხდება კრება ტფ. საქალაქო სკოლებისა. ამ დღისთვის იწვევენ მოსწავლეთ თავ-თავიანთ სკოლებში.

## პასუხად გენერალ შირინკინს

—

ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ის 276 ნომერში კავკასიის პოლიციის უფროსი სწერს:

„ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში დაიბეჭდა შენიშვნა, რომელიც შემდეგ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს. შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ ვითომ 21 ოქტომბრის ამნისტიის ძალით განთავისუფლებულნი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ეს ცნობაც შეთხზულია. კავკასიაში ეხლა არ არის არც ერთი პირი, რომელიც ადმინისტრაციის განკარგულებით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდეს; ამ ღონისძიებას ხმარობენ მხოლოდ სასამართლოს წარმომადგენელთა დადგენილებით, რათა ბრალდებულს არ შეეძლოს გამოძიებასა და სასამართლოს გვერდი აუხვიოს“.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო შემდეგი: „თუმცა ტფილისში პოლიტიკური დამნაშავენი განათავისუფლეს, მაგრამ როგორც გავიგეთ, იგინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან“. აქ ნათქვამი არ არის, თუ ვისის განკარგულებით იმყოფებიან განთავისუფლებულები პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ადმინისტრაციისა თუ სასამართლოსი, და, მაშასადამე, გენერალ შირინკინის პასუხი სრულიად ვერ არღვევს ჩვენს ცნობას, რომ განთავისუფლებულები პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ცხადია, რომ გენერალ შირინკინის სიტყვები „ეს ცნობაც შეთხზულია“, ყოვლად უადგილოა და აქ მოსატანი არ არის. კარგი იქნებოდა, თუნდ მარტო ჰფ. მეორე საპოლიციო ნაწილის ბოქაულს დაჰკითხებოდნენ, რამდენ განთავისუფლებულს ჩამოართვა ხელწერილი ქალაქიდან არ გასვლისა 21 ოქტომბრის შემდეგ.

---

# დეპეშა

### „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** სამხედრო მინისტრი რედიგერი და საზღვაო—ბირილევი თავიანთ ადგილებზე რჩებიან.

„ვეჩ. პოჩტა“-ში დაიბეჭდა წესდება სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირისა. ამ კავშირის გამო მთავრობა აცხადებს, ის მოხელენი, რომელნიც კავშირში შევლენ, სამსახურში ვერ დარჩებიანო. თავის მოქმედების გასამართლებლად მთავრობა საფრანგეთს იმოწმებს და ამბობს, რომ იქ მინისტრ-პრეზიდენტმა რუვიემ მასწავლებელთ აუკრძალა კავშირის შედგენაო.

4 ნოემბერს შეერთდა პეტერბურგისა და მოსკოვის ყველა პროგრესიულ—კონსტიტუციონური პარტიები და ამ შეერთებულმა პარტიამ სახელად დაირქვა „17 ოქტომბრის კავშირი“. კავშირს აზრადა აქვს არჩევნების საქმის მოწყობა და მუშათა პოლიტიკურ გაფიცვის წინააღმდეგ მოქმედება. გაიფიცა მოსკოვ-ვინდავას რკინის გზა. გაიფიცა აგრეთვე ფინლიანდიის, ვარშავის და ბალტიის გზებზე. სურსათი აღარ მოდის. გაიფიცა ბევრი აფთიაქი. მიტინგებია. დაარსდა აუარებელი კავშირი. გაზეთები არ გამოსულა. გაიფიცნენ აგრეთვე ელექტრონის საზოგადოებანი ორის გარდა. სადგურებზე ჯარია. ქალაქში რაზმები დადიან.

**ტომსკი,** 4 ნოემბერი. ციმბირის გზის ბევრ სადგურზე ჯერ კიდევ გაფიცვაა. ციმბირის ჯარის უფროსმა ბრძანება გასცა, ის გაფიცული მუშები, რომელნიც ოპოლჩენიის რატნიკებად და სათადარიგო ჯარის კაცებად ითვლებიან, დაუყოვნებლივ ჯარში გაიწვიონ სამხედრო სამართალში მისაცემად.

**ვლადივოსტოკი,** 3 ნოემბერი. აქ დიდი არეულობები მოხდა. ამბობენ, ეს არეულობა მოსულმა აგიტატორებმა გამოიწვიესო. უწესოებებში მონაწილეობა მიიღეს უმთავრესად მცხოვრებლებმა, შემდეგ ხულიგანებმა და სათადარიგო ჯარის-კაცებმა. არეულობა დაიწყო 30 ოქტ. აიკლეს ჩინელთა დუქნები ბაზარში. შემდეგ ჩაამტვრიეს მაღაზიების და რესტორანების ფანრები. ადგილობრივმა მთავრობამ იარაღს არ მიჰმართა, ამიტომ არეულობა ძალიან გაიზარდა. გადასწვეს საუკეთესო ქუჩები, თეატრი, საკრებულო, სამხედრო სასამართლო, პროგიმნაზია, სანავთ-სადგურო კანტორა და საზღვაო უწყების შენობები. დიდი მაღაზიები გაძარცვეს და გადასწვეს. ღამე ნავთსადგურზე იტაცებდნენ ღვინოს და სპირტს. ცეცხლს ვერ აქრობდნენ. ქალაქს ეხლა ჯარი იცავს. დილით შეკრებილმა ხალხმა მოიწვია კამენდანტი, რომელმაც განუმარტა ხალხს ცუდი საქციელი და მოსთხოვა უწესოების მოსპობა. ხალხმა წარუდგინა თავისი მოთხოვნილება, რომელიც კამენდანტმა დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ამის შემდეგ შეერთებული მანიფესტაცია გაუმართეს გენერალ უაზბეკს და პირობა მი[illegible]დებითო, მაგრამ პირობა დაარღვია, ჰკუპტვასტისა და სატუსაღოდან პატიმარნი გაანთავისუფლა და სატუსაღო გადასწვა. 1 ნოემბერს საწყნარე იყო. ჯარმა და ყაზახებმა დაიცვეს ბანკები, ხაზინა, სურსათის საწყობები და ზოგიერთი სახაზინო დაწესებულებანი. ბევრი უსახლკაროდ დარჩა. ასე მოუვიდა დრამატიულ დასს. მცხოვრებთ დაარსეს თავდამცველი კომიტეტები. ხულიგანები ხშირად მატროსის და სალდათის ტანისამოსს იცვამდნენ. გენერალი უაზბეგი დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად. შეუდგნენ სათადარიგო ჯარის დათხოვნას. ამ ამბავს ჯარი სიხარულით მიეგება. ქალაქში აღარც ერთი რესტორანი აღარ არის.

**პეტერბურგი.** პირველმა პოლიტიკურმა კლუბმა თავის რეზოლიუციათ დაადგინა: შეაერთოს „17 ოქტომბრის“ ყველა პროგრესიული პარტიები, რადგან შეუძლებელია სახელმწიფოს მოქმედება და მომავალი არჩევნები სათათბიროში, თუ გაფიცვა არ მოისპო. რადგან გაფიცულნი პირად ინტერესებს დაეძებენ და არა განმათავისუფლებელ მოძრაობას, რადგან ამ გვარ მოქმედებას შეიძლება რეაქცია მოჰყვეს; რადგან შეუძლებელი ხდება მოქალაქის უფლებათა დაცვა, თავისუფლება სიტყვისა, კრებისა და სხვა; რადგან ხალხს აუარებელი ზარალი მოსდის, ძვირდება სანოვაგე და ღარიბნი გაჭირვებაში ვარდებიან, რადგან რკინის გზის შეჩერების გამო შეუძლებელი ხდეს თსუთმეტ დამშეულ გუბერნიას პური მიაწოდოს, რადგან მდაბალი ინსტინქტები და აკლება-აწიოკება უფრო და უფრო ფესვს იკიდებს; რადგან ყოველივე ეს ანადგურებს როგორც მთელ სახელმწიფოს, ისე კერძო მცხოვრებთ,—ამიტომ შეერთებულმა პარტიამ დაადგინა: 1. გამოეცხადოს უკმაყოფილება იმათ, ვინც 2 ნოემბრის გაფიცვა გამოიწვიეს, 2. თანაგრძნობა გამოუცხადოს იმათ, ვინც არ მიემხრნენ გაფიცვას; 3. მიმართოს მოქალაქეთ და სთხოვოს, მოსპონ გაფიცვა; 4. მიმართოს ქალაქის საბჭოებს, მხარი დაუჭირონ ამ რეზოლიუციებს.

**ორიოლი,** 5 ნოემბერი. ლიუბენის მაზრის ცარევისა და პოლშიჟევის მაზრებში აგრარული არეულობა დაიწყო.

**ტამბოვი.** კირსანოვსკის მაზრაში წყნარდება აგრარული მოძრაობა. უსმბოვის მაზრაში დაიწყო მებატონეების სახლ-კარისა და მამულების დაწვა დაწიოკება.

**ასხაბადი.** როგორც „ზაკასპიისკი ობოზრენიე“ იუწყება, ტასტაი ბაზარში შეტაკება მომხდარა სამს ნოემბერს სომხებსა და ორდინცებს შორის. არიან მძიმედ დაჭრილები. ყაზახრუსების მოსვლამ გაჰფანტა ბრბო.

**პეტერბურგი.** მთავრობის ცნობა, საზოგადოებაში ვრცელდება ხმები, ვითომც პოლონეთის წინააღმდეგ მიღებული ზომა გამოწვეული ყოფილიყოს სხვა სახელმწიფოს ზედგავლენით, მეორეს მხრით ცნობილ მიმართულების პრესსა ამ ზომაში ჰხედავს მიზნებს 17 ოქტომბერს გამოცხადებულ მანიფესტის პრინციპებზე ჩამოშორებისას და ისე ხსნის მას, ვითომც მთავრობას სურვილი ჰქონდეს ეროვნული მტრობა ასტეხოს რუსებსა და პოლონელებს შორის და ამით ნიადაგი მოუპოვოს თავის რეაქციონურ მასწრაფებებს. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. 31 ოქტომბერს გამოცემულ მთავრობის ცნობაში უკვე იყო აღნიშნული, რა მიზეზმა გამოიწვია სამხედრო წესების გამოცხადება პოლონეთში, ამ მიზეზებთან უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე არა პოლონელთა ჯგუფის მიერ შემოტანილი კოლექტიური კავცსადებანი, რომელნიც ამოწმებენ 31 ოქტომბრის ცნობაში აღნიშნულ საბუთებს. ამასთანავე არ შეიძლებოდა მოგვეყვანა მთლიანად ცნობა იმის

---

ენ რბენას სამეგრელოს სოფლებშიო, სთქვა ლამოვმა.

მუხურის შემდეგ ეს ურდო დაეცა ს. ჭაქვინჯს, სადაც კელამოვმა დააჩოქა ხალ ი, გარს შემოარტყა ხმალ-ამოღებული ყა ხები და ხელ-ახლა დააფიცა გლეხები მე ის ერთგულებაზედ,—ეხლავე უარ-ჰყავით ქვენი არჩეული ვიღაც ათისთავები და სისთავებიო.

მუხურსა, ჭაქვინჯსა და კახათში ჩააყენეს ყაზახთა ეკზეკუცია, რომლის შესანახად გლეხებს უზომო ხარჯს ახდევინებდნენ. გარდა ხარჯის გადახდევინებისა ყაზახები ძარცვავდნენ მცხოვრებლებს.

უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო გარემოებაც, რომ ხალხის საერთო გამოღვიძებით ისარგებლეს აქა-იქ სრულიად მოუმზადებელმა პირებმა და საქმე ძალიან გააფუჭეს. უფრო ცნობილია ორი ასეთი მოქალაქე დიმიტრი გეთია, სამრევლო სკოლის მასწავლებლად ნამყოფი, და სვიმონ თოლორდავა, მწერლად ნამყოფი. ამათ თოფიარაღი აისხეს, გარს შემოიხვიეს გავარდნილი შეიარაღებული აბრაგები და ძალად უცებდნენ ხალხს „ერთობაზედ“, ღამ-ღამით დაჰქონდათ ხატები, მიუხტებოდნენ მცხოვრებთ თითო-თითოდ, მიაჭერდნენ გულზედ თოფს, გინდა თუ არა ამ ხატზედ დაიფიცეო. ამ გვარად დაიმორჩილეს რამდენიმე სოფელი და ხალხს ფული გადაახდევინეს. ესენი ამბობდნენ, სოციალდემოკრატიულ პარტიის ბათუმის კომიტეტისაგანა ვართ გამოგზავნილიო, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ კომიტეტთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიათ. ნამდვილ კომიტეტისაგან გამოგზავნილს კაცს სულ არ უშვებდნენ სოფლებში საქადაგებლად. ამათ საშინლად გაამწვავეს თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობა. გლეხებს პირდაპირ უსისინებდნენ თავად-აზნაურთა დასარბევად, მოსაკლავად. მათის ქადაგებით აზნაურია გლეხის მტერი, მეტოქეობაა თავად-აზნაურთა და გლეხთა შორისა და არა მდიდარსა და ღარიბს შორის. წოდებათა გაუქმება მათ ეგრე გაიგეს, რომ გლეხობამ უეჭველად თავად-აზნაურობა უნდა დაჰხოცოს. ამგვარად მათ კლასთა შორის ბრძოლა წოდებათა შორის ბრძოლად გადააქციეს და ამით დიდი ვნება მოუტანეს ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

მოვიყვან რამდენსამე მაგალითს მათის უტაქტობისას. გეთია თავის კაცებით ჩაუსაფრდა ს. ჭაქვინჯში მაზრის უფროსის თანაშემწეს სოლორაშვილს, რომელმაც ამ სოფელში საომარ დროის წესი გამოაცხადა და ბრუნდებოდა ზუგდიდში. გლეხთაგანი არავინ დაუჭერია. ასტყდა სროლა. სოლორაშვილი და სტრაჟნიკები გადმოცვივდნენ ცხენებიდან და ფეხით გაიქცნენ ზუგდიდში. გეთიას კაცებმა დასჭრეს დარაჯი, ერთი დარაჯის ცხენი მოჰკლეს, ზედ ბალახი გვიმრა გადააყარეს და უნაგირიანად დასწვეს. გეთიას მხრიდანაც მძიმედ დაჭრილ იქმნა ერთი საუკეთესო ყმაწვილი კაცი. დახვდნენ აგრეთვე გამომძიებელს, რომელიც წალენჯიხის ნაწილიდან მოდიოდა ს. კირცხში გეთიას მიერვე მოკლულ აზნაურის ბესარიონ მხეიძის საქმის გამოსაძიებლად. აუტეხეს სროლა და უკანვე გააბრუნეს. ზემოხსენებული თავ. პლატონ დადიანი მოხუცებული კაცი იყო, ძველის აზრისა, მაგრამ, ამბობდნენ ჯაშუში არ იყო და არც ხალხი დაუჩაგრავსო მას ჰყავს შვილები, სტუდენტები, ახალ აზრით გატაცებული ყმაწვილები, მაინც მოჰკლეს იგი ღალატით თოლორდავას კაცებმა, ცოლ-შვილს აყურებინეს მისი დახვრეტა, მიწაში ჩაფლეს და ზედ ძაღლი დაამარხეს.

კანცელარიების ქაღალდების და სოფლის მოხელეთა საქმეების გაუქმებას იმითი შეუდგნენ, რომ ცეცხლით გადასწვეს კანცელარიის შენობები, რომელიც ხალხმა შემდეგ დიდის გაჭირვებით ისევ ააგო. როგორ შოულობდნენ იარაღს? დაეცემოდნენ აქა-იქ და ძალით ართმევდნენ ყველას. როდესაც ყაზახებმა დააწიოკეს მუხური, სვიმონ თოლორდავა, რომლის მიზეზით გადახდა ხალხს ამდენი უბედურება, გაიქცა, მიიმალა მთებში, თავს უშველა და მისი სოფლის ხალხი-კი ყვავ-ყორანს დასაფლეთად დაუტოვა. ამბობენ, 50 შეიარაღებული კაცი ახლდაო.

გეთია უფრო ვაჟკაცი აღმოჩნდა. იგი არსად მოშორებია თავის ხალხს და თავიც შესწირა. მას უღალატეს ს. ჭალრაში პოლიციისა და თავად-აზნაურების შემოჩენილმა კაცებმა და მოჰკლეს.

გეთიას მოკვლისა და თოლორდავას გაქცევის შემდეგ (დ)აიწყო ხალხში საშინელი რეაქცია. სოფლებში ჩაყენებულმა ეკზეკუციებმა და ბოქაულის ს. შენგელაიას თარეშმა, ათისა და ასისთავების დაჭერამ დააშინა გლეხობა და ეჭვი აალებინა სარევოლიუციო ძალებზე. თუ მეტი ძალა არა ჰქონდათ, რისთვის გვაბრიყვებდნენო, ყრუდ გაისმოდა აქა-იქ. პოლიცია ხომ უხშირებდა აგიტატორთა და მეთაურ გლეხთა დაპატიმრებას. სამეგრელოში დაპატიმრებულნი არ ეტეოდა ზუგდიდ-სენაკისა და ქუთაისის საპყრობილეებში. რომ უფრო გაეტეხა ხალხში „მოქადაგეთა“ სახელი, პოლიციამ ივითონ დააფიცა ხალხი და აარჩევინა შვიდისა და ოთხმოცის თავები, რომელთაც უნდა მოესპოთ ამ დროს მეტად გახშირებული ქურდობა და ავაზაკობა. ხალხს ეშინოდა ერთად შეკრებისა და ვისიმე „ქადაგების“ მოსმენისა. მემამულეთა ყანებიც ზოგი თვით პატრონებმა დაიმუშავეს და ზოგიც სრულიად დაუმუშავებელი დარჩა. მაგრამ ბოლოს ბევრგან თავის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხელი მოჰკიდეს გლეხებმა და სამესამედ-მეოთხედოდ დაიმუშავეს. თავად-აზნაურებზე ძალიან გადამტერებულნი იყვნენ გლეხები და საქმეს უფრო ამწვავებდა ზოგიერთი ცნობილი თავადი და აზნაური, რომელნიც წამ და უწუმ პოლიციაში დარბოდნენ და გლეხებს აბეზღებდნენ. რამდენიმე ასეთი მემამულე გადასწვეს კიდეც. ხალხს მოაგონდა ძველი დრო, როდესაც უტუ მიქავას წინამძღოლობით გლეხები აჯანყდნენ, ბატონთა უღელი თავიდან გადაიგდეს, მაგრამ ახალ შემოსულ რუსის ჯარს ვერ გაუძლეს და დამარცხდნენ...

გასულ ზაფხულს სამეგრელოში მუშაობა დაიწყო ახალმა პარტიამ და უმთავრესი ყურადღება მიაქცია ხალხის გათვითცნობიერებას და შეიარაღებას. ამ პარტიის ხელმძღვანელობით ხალხი თხოულობს, რომ საკმაო მიწა მიეცეს, სახელმწიფო, საპატრონო და საეკკლესიო მიწები გახდეს მომუშავეთა საზოგადო საკუთრებად.

მოაწია ერობის არჩევნებმა და სოფლებში დაიწყო თავისუფალი კრებები და აგიტაცია. ხალხს უხსნიდნენ, რომ მთავრობის მოცემული ერობა არ გამოადგება. ერობა უნდა იყოს ნამდვილი დემოკრატიული თვითმმართველობა, ხოლო ასეთი თვითმმართველობა თვითმპყრობელობასთან მოუთავსებელია, მაშასადამე, უნდა შეიცვალოს ძირიანად არსებული წესწყობილებაო. ხალხიც თხოულობდა სრულიად თავისუფალს უცენზო ერობას და ამავე დროს რუსეთის ბიუროკრატიულ რეჟიმის მოსპობას და სრულ თვითმმართველობის დაწესებას.

დღეს თვითმპყრობელობა მოისპო რუსეთში, მაგრამ ჩვენი გლეხობა ისევ უმიწოდ რჩება და მისთვის კანონები ცხრამთას იქით იწერება. მაშასადამე, ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ მედგარი ბრძოლა მოუხდება თავის სურვილის განსახორციელებლად.

**მეგრელი**

შესახებ, თუ როგორ ექცევიან პოლონელები რუს მოსამსახურეებს პოლონეთში და, განსაკუთრებით, ჯარებს. ყველა ზემოხსენებული ამბები ნათელ ჰყოფენ მთელის პოლონეთის უკიდურესს აღელვებას და ამართლებენ მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, რაც აუცილებელი იყო და რამაც უნდა გაამოაფხიზლოს მთელი პოლონეთი. ყოველი მხრიდან გაისმის, რომ მთავრობა ვერ ამტკიცებს პოლონეთის მისწრაფებას რუსეთიდან გამოცალკევების შესახებ, მაგრამ შეუძლებელია აღნიშნოს საზღვარი პოლონეთის სრულის გამოცალკევებისა და სრულს ავტონომიის მიღების შორის. მართალია ჯერ-ჯერობით პოლონეთის ავტონომია არაა განსაზღვრული, მაგრამ მისი საზოგადო სასიათი ისეთია, რომ პოლონეთს სურვილი აქვს სრულებით გამოეყოს რუსეთს, როგორც საადმინისტრაციო, ისე საკანონმდებლო საქმეებში. ბევრი ისეთი განცხადებები მოდის, საცა ვისლის პირა მხარეს პოლონეთის სამეფოდ აღიარებენ. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მისწრაფებანი არსებობს, თუმცა-და მათ აშკარად მხოლოდ უმეტესად გატაცებული პირნი იჩენენ. ასეა, თუ ისე, ყველა ამ ცვლილებებს უნდა მოჰყვეს რუსის მეიაურობის დაცემა პოლონეთში. ავტონომიის იდეა პოლონეთში ისე სწრაფად იზრდება, პოლონელების უზომო გრძნობიერების წყალობით პოლიტიკურ საკითხებში, რომ ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ არამც თუ დღევანდელ ვითარებას, არამედ უნდა გავითვალისწინოთ მისი შესაძლებელი და მოსალოდნელი შედეგიც. ფინლიანდიის მაგალითი, რაც საბუთად მოჰყავთ მოძრაობის მომხრეთ, შეუფერებელია ამ შემთხვევაში. ფინლიანდიამ მიიღო ის უფლებები, რაც ეხლა-ხან წაერთვა მას. და ამ უფლებების დაბრუნება სავსებით ეთანხმება 17 ოქტომბრის მანიფესტის პრინციპებს, პოლონეთის ეროვნულ-ცხოვრების საკითხი-კი, იმთავითვე სადავო საკითხი იყო და ამასთან საერთაშორისოც. ამ საკითხის გადაწყვეტას ცალკე პარტიები დაეშურენ და არც-კი მოისმინეს რუსეთის ხალხის ხმა. საჭიროა დავუცადოთ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას, საცა პოლონეთის საკითხს ყოველმხრივ გაარჩევენ რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი, არა მარტო პოლონეთის ეროვნების თვალთა ისარით, არამედ უფრო ვრცლად, საერთო სახელმწიფო ინტერესების მიხედვით, მანამდე-კი ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ პოლონეთის არსებულ წესწყობილების დასაცველად. ეჭვს გარეშეა, რომ პოლონეთის ცხოვრების განვითარებას საფუძვლად 17 ოქტომბრის პრინციპები უნდა დაედოს და უნდა იხელმძღვანელონ 1904 წ. 12 ოქტომბრის ბრძანებით. ამიტომ პოლონეთში სამხედრო წესების გამოცხადება გამოწვეულია არა იმით, რომ მთავრობას სურვილი იყოს, წაართვას პოლონეთს 17 ოქტომბრის სიკეთენი, არამედ ეს საჭიროა იმ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, რომლების მოთმენა შეუძლებელია სახელმწიფოს უმთავრეს ინტერესებისდა მიხედვით. აქედან თავის თავად გამომდინარეობს, რომ პოლონეთში მოიხსნება სამხედრო წესები, როგორც რომ იქ დაცხრება მღელვარება და უფრო მყუდრო ცხოვრებას შეუდგებიან. ყველაფერი დამოკიდებულია თვითონ პოლონელებზე.

### „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 4 ნოემბერი. გაფიცვა შეფერხდა. გაფიცულთა შორის უთანხმოებაა. ამ გაფიცვამ ნაკლებად იმოქმედა. მაღაზიები ღიაა, ტრამვაი დადის, თეატრები მოქმედებენ.

**მოსკოვი**, 5 ნოემბერი. იმ კომიტეტის სხდომა, რომელიც გაფიცვის საქმეს განაგებს, ნაშუადღევის სამ საათზე დასრულდა. კომიტეტი პრინციპიალურად წინააღმდეგია გაფიცვისა. საქმე ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

**სტარიცა**, 5 ნოემბერი. ვოლოკამის და სტარიცის მაზრებში აგრარული მოძრაობაა. მოძრაობა 24 სოფელს მოედო. მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ყაზახები და პოლიცია. მემამულენი და გლეხნი ცდილობენ მორიგდნენ.

**პეტერბურგი**, 5 ნოემბერი. ოფიციალური. მოგვანდეს განვაცხადოთ შემდეგი: პროვინციებში გავრცელდა ხმა, ვითომ კრონშტადტის მეამბოხე ჯარის კაცებისა და მატროსების დახვრეტა უკვე დაეწყოთ სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით. ასეთი ხმები ნაადრევია და არავითარი საფუძველი არ აქვს. ამჟამად მხოლოდ ცხარე გამოძიება სწარმოებს, რაც კარგა ხანს გასტანს და მხოლოდ მაშინ შეიძლება დანამდვილებით ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ დაისჯებიან მეამბოხენი. კრონშტადტის მეამბოხენი არც გაუსამართლებიათ და არც გაასამართლებენ სამხედრო-საველე სასამართლოში, ამიტომ ყოველივე მითქმა-მოთქმა მატროსების დახვრეტის შესახებ ტყუილია და, როგორც ეტყობა, გავრცელებულია ცნობილ პარტიის მიერ, რომელსაც სურს, რაც უნდა მოუვიდეს, აღელვოს საზოგადოება. საზოგადოებას შეუძლია სრულის ნდობით ელოდოს გამოძიების გათავებას და მაშინ შეიძლება ჯეროვანი და ჭეშმარიტი მსჯავრი დაედოს მეამბოხეების ქცევას.

**ვარშავა**. 5 ნოემბერი. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა ვარშავის სახელმწიფო თეატრები გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

**სიმფეროპოლი**, 5 ნოემბერი. სოფ. კახოვკასა და ზბურიევკაში, დნეპროვსკის მაზრაში დაიწყეს აგრარული არეულობა.

**იურიევი**. პოლსკის მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გლეხები მებატონეების ტყეს ჩეხავენ.

**პეტერბურგი**. პეტერბურგის მექანიკურ ქარხნების მუშები დაეთანხმნენ 10 საათის სამუშაო დროზე.

7 ნოემბერი.

**პეტერბურგი**, 5 ნოემბერი. გზათა მინისტრმა გამოუცხადა მუშებს, რომ რვა საათის სამუშაო დღის შემოღება რკინის გზებზე, მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შეუძლებელია და ამიტომ დეპო-სახელოსნოების მუშებს გაფიცვით მომცდარ დღეების ჯამაგირები არ მიეცემათო.

ფინლანდიის დროებით გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა კორპუსის უფროსი ბარონ ზალცა. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სახელმწიფო სტამბებში მომუშავეთ გაფიცულ დღეებში ფული არ მიეცემათ.

**ქრისტიანია**, 6 ნოემბერი. სტორტინგმა ნორვეგიის მეფედ დანიის პრინცი კარლი აარჩია.

**ვარშავა**, 6 ნოემბერი. გუშინ საღამოს ააფეთქეს ხიდი ოსტროვეცკის რკინის გზის შტოზე. მიმოსვლა და ტელეგრაფის მუშაობა შეჩერდა. პრინცმა თანხმობა განაცხადა.

**მოსკოვი**, 5 ნოემბერი. ამაღამ მუშათა გამფიცველ დეპუტაციების შეერთებული კომიტეტი განიხილავს სრულიად რუსეთის გაფიცვის საკითხს.

**სედლეცი**, 5 ნოემბერი. გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით აკრძალულია კრებები და ქუჩებში მიმოსვლა, მედუქნეები და აფთქის მოხელენიც აგრეთვე დაპატიმრებულ იქნებიან, თუ რომ ისინიც გაიფიცებიან და შესწყვეტენ მოქმედებას. კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებზე თავდასხმისათვის დაწესებულია საურთიერთო პასუხის მგებლობა. იმ ეზოებსა და კარ-მიდამოებზე, სადაც კრება მოხდება, გაგზავნება დასაბინავებლად ჯარი, ხოლო იმათ პატრონთ გადახდებათ ჯარიმა. მავნე პირებად ცნობილთ გადაასახლებენ.

**პეტერბურგი**, 6 ნოემბერი. მუშების დეპუტატების საბჭომ პეტერბურგის რკინის გზის მოსამსახურეების საგაფიცვო კომიტეტის დელეგატთან ერთად დაადგინა შესწყვიტოს გაფიცვა ორშაბათს 12 საათზე დღითი.

**სტამბოლი**. ამბობენ, პოლიციას ხელში ჩაუვარდა ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის მიერ გამოცემული პროკლამაციები რუსეთის ამბების შესახებ, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ ოსმალეთსაც დაუდგა ჟამი აჯანყდეს ხალხის თავისუფლებისათვის. ამბობენ, 50 კაცი დაიჭირესო.

**კიევი**. 30 ხმის უმეტესობით 28-ის წინააღმდეგ პროფესორთა საბჭომ გადასწყვიტა დაიხუროს უნივერსიტეტი იანვრამდე.

**კურსკი**, 6 ნოემბერი. კურსკის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

**პენზა**, 6 ნოემბერი. გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა.

**მოსკოვი**, 6 ნოემბერი. დღის 2 საათზე გაიხსნა ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელთა სიეზდი. თავმჯდომარედ აირჩიეს პეტრუნკევიჩი, ამხანაგებად შჩეპკინი და საველიევი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში „**სხივის**“ ამხანაგობის გამოცემული **პირველი წიგნი**
ივ. გომართლის

## ჯუზეპე გარიბალდი

**ფასი ორი შაური**

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—6.—1)

## ✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—11).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

## კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კპ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა პაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელო, მოთხრობა—შელასიასი | — | 20 |
| ალ. გაზბეგის I, ტომი | 1 | — |
| II და III ტომი თითო | 1 | — |
| ილ. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნად | — | 80 |
| სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუე – საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 55 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 10 |
| ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 25 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 20 |
| ხენთი რაფფაი, თარგმანი სომხურიდან კ. ევანგულოვისა | 1 | — |

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

## კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

**უდიდესი ჯილდო**

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

**რუსეთ-ამერიკის**

**რეზინის მანუფაქტურისას**

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

**რეზინის კალოშების**

ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

ტელეფონი № 1051.

### პირველი საწყობი

## შეშისა

✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოჟნის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან.

(10—5) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

TRADE MARK "GRAMMOPHON"

## დროა დავიჯეროთ!

# სამი ფაქტი!

1. მთელის ქვეყნის საუკეთესო და უფრო გამოჩენილი არტისტ-მომღერლები, როგორც, მაგალითად: მელბა, **ტამანიო, კარუზო, სობინოვი, შალიაპინი და** სხვათ, რომელნიც დიდათ აფასებენ თავის სახელს, სწორედ **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოების** გრამოფონები აირჩიეს თავის ხმების გამომხატველებად და არა სხვა რომელიმე „სალაპარაკო მანქანა“.

2. უპირველესი და უშესანიშნავესი მუსიკის მცოდნენი და სამუსიკო კრიტიკოსები, როგორც მაგალითად: **ადელინა პატტი, მასსნე, სენ-სანსი, კუბელიკი, გოფმანი, პროფ. იოახიმი** და სხვები ირწმუნებიან თვითონ, სხვის გავლენის გარეშე, რომ **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოების** გრამოფონი **საუკეთესო და უმშვენიერესი მანქანაა ხმის ხელოვნურად გადასაცემად და უკეთესი გამავრცელებელია ნამდვილ მუსიკის ნაწარმოებებისა**.

3. მეფეები და სხვა წარჩინებულნი პირნი, როგორც მაგალითად: **მ. უ. მეფე ედუარდ VII, პორტუგალიის მეფე, გერმანიის ტახტის მემკვიდრე, პაპი პიოს X** და სხვები იძენენ მხოლოდ აპარატს „გრამოფონ“-ს ჩვენის წარმოებისას და არა სხვისას.

## კიდევ სამი ფაქტი

1. გრამოფონის ფირფიტები **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოებისა** ყველაზე ძვირად ისყიდება, სამაგიეროდ ორჯელ უფრო მაგარია და ორჯელ უფრო დიდხანს სძლებს, ვიდრე სხვებისა

2. ძველი უკვე ნახმარი ფირფიტები ჩვენის ფაბრიკისა ორჯელ უფრო მეტს ფასში არიან, ვიდრე სხვებისა.

3. **ჩვენი ფირფიტებისა არის 14.000 ნომრებზე მეტი** და გადმოგვცემენ ყველა არტისტების სიმღერას ყველა ენებზე.

**ყოველი გრამოფონი სალაპარაკო მანქანაა, მაგრამ ყოველი სალაპარაკო მანქანა გრამონი როდი არის.**

**სააქციონერო საზოგადოების გრამოფონის** გრამოფონებსა და ფირფიტებზე უთუოდ არის შემდეგიისაფაბრიკო ნიშანი:

საფაბრიკო ნიშანი TRADE MARK "GRAMMOPHON" საფაბრიკო ნიშანი

**შეამოწმეთ გრამოფონი და ფირფიტა უთუოდ ყალბი იქნება.**

უკანასკნელი ჩვენი გაუმჯობესება ფირფიტების საქმეში ის არის, რომ გამოვეცით რუსულის სიმღერების ფირფიტები **ორკესტრის აკომპანიმენტით, რაც სინამდვილის სრულს შთაბეჭდილებას გვაძლევს და სცენაზე ასრულებულის უარესი არ არის.**

## „სააქციონერო საზოგადოება „გრამმოფონ“

ПЕТЕРБУРГЪ
Морская 49.
МОСКВА
Тверская ул., савинскаго подрорья

საგენტოები და წარმომადგენლობა რუსეთის ყველა მთავარ ქალაქებში.

(მტ. 2—2)

## ულუხანლუ-სპარსეთის საზღვარის რკინის გზის აშენებელი გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს საქონლის სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის დროებით წესრიგს სადგურებ ნახიჩევანსა და ულუხანლუს შუა, რომელიც დაიწყო 29 ოქტომბრიდან ამა წლისა

| საქონლის—სამგზავრო მატარებელი № 3 სადგურიდან ულუხანლუ სადგურამდის ნახიჩევანი II და III კლასის ვაგონებით სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით | | | | | | | | საქონლის—სამგზავრო მატარებელი № 4 სადგურიდან ნახიჩევანი სადგურამდის ულუხანლუ II და III კლასის ვაგონებით კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| №№ ვერსისა | სივრცე სადგურებ შუა | სადგურები | დრო გზაში | მოსვლა | გაჩერება | წასვლა | შეხვედრა, გასწრება და გაშვება | №№ ვერსისა | სივრცე სადგურებ შუა | სადგურები | დრო გზაში | მოსვლა | გაჩერება | წასვლა | შეხვედრა, გასწრება და გაშვება |
| ულუხანლუდან | | | | | | | | ნახიჩევანიდან | | | | | | | |
| | | ულუხანლუ | | | | 7.10 | დილას | | | ნახჩევანი | | | | 6.00 | დილით |
| 16 | 16 | კამარლიუ | 48 | 7.58 | 5 | 8.03 | | 135 | 37 | შახტახტა | 3.04 | 9.04 | 20 | 9.24 | |
| 37 | 21 | არარატი | 1.03 | 9.06 | 5 | 9.11 | | 98 | 25 | ნორაშენი | 1.23 | 10.47 | 20 | 11.07 | |
| 49 | 12 | სადარაკი | 36 | 9.47 | 5 | 9.52 | | 73 | 24 | სადარკი | 1.12 | 12.19 | 5 | 12.24 | შეხვედრა მატარებელთან № 15 |
| 73 | 24 | ნორაშენი | 1.12 | 11.04 | 20 | 11.24 | | 49 | 12 | არარატი | 36 | 1.00 | 5 | 1.05 | |
| 98 | 25 | შახტახტა | 1.23 | 12.47 | 20 | 1.07 | შეხვედრა მატარებელთან № 16 | 37 | 21 | კამარლიუ | 1.03 | 2.08 | 5 | 2.13 | |
| 135 | 37 | ნახიჩევანი | 3.04 | 4.11 | დილით | | | 16 | 16 | ულუხანლუ | 48 | 3,01 | დილით | | |

დრო მოსვლისა და წასვლისა ნაჩვენებია პეტერბურგის დროს მიხედვით, რომელიც უკან არის ტფილისისაზედ 58 წუთით. (3—1)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ.ამხ.“-სა.
განქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.